ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-39

2010 წლის 17 ივნისი
ქ.ქობულეთი

დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის „ძ“ პუნქტის შესაბამისად:

1.არჩეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისია (შემდგომში სამანდატო კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. ალიკო კაკაბაძე
2. ალექსანდრე ყურშუბაძე
3. ნუგზარ მჟავანაძე

2. სამანდატო კომისია:

ა) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს;

ბ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობიხათვის წარდგენილი საჭირო დოკუმენტაციის (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებების, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენილი ფაქტების, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის) შესწავლას და ამის საფუძველზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს მოხსენებას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ერთიანი სიით უფლებამოსილების ცნობისათვის.

3. სამანდატო კომისიას უფლებამოსილება უწყდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის შექმნისთანავე.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული
საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარე ზ.ფალავანდიშვილი